

სოფიკო ლობჯანიძე

როგორ გავაფორმოთ საგნისა და თემატური გეგმები

რა მიზანს ემსახურება დაგეგმვა?

სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოქნილობის საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მასწავლებლის პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.

მასწავლებლები რამდენიმე დონეზე ახდენენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას: ესაა **წლიური (საგნის გეგმა – სილაბუსი), თემატური, კვირისა და გაკვეთილის გეგმები**. ყველა ეს დონე ერთმანეთთან უნდა იყოს კოორდინირებული. წლიური გეგმის შესრულება მოითხოვს მის განაწილებას თემებზე, თემატურისა - დროის ცალკეულ დანაყოფებზე, თავის მხრივ ამ გეგმების განაწილებას კვირებსა და დღეებზე.

პედაგოგთა ნაწილში ჩნდება შინაგანი პროტესტი სასწავლო პროცესის დაგეგმისადმი, მათ მიაჩნიათ, რომ დაგეგმვა ზღუდავს მათ შემოქმედებითობას, თავისუფლებას. მათგან ხშირად ისმის შემდეგი ფრაზა: ”კლასი ცოცხალი ორგანიზმია. კარგი მასწავლებელი გაკვეთილს და, ზოგადად, სასწავლო პროცესს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე. ეს უფრო საინტერესო იქნება როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლისთვისაც”.

დაგეგმვა ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზებას, მის გამდიდრება-გამრავალფეროვნებას, განახლებასა და დახვეწას.

საგნის გეგმის (სილაბუსის) და თემატური გეგმის სტრუქტურა

საგნის გეგმა (სილაბუსი - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს ჩამონათვალს, სიას, ნუსხას, შეჯამებას) წარმოადგენს სასწავლო კურსის პროგრამას. მასში მოცემულია კურსის სათაური, სწავლების საფეხური, მიზანი და ამოცანები, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდი), კურსის შინაარსობრივი გეგმა, გამოყენებული სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები, ასევე კურსის შეფასების პრინციპები (შუალედური, შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და სხვა), მოსალოდნელი შედეგები, კერძოდ, იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს კურსის დასრულება.

უმადლეს სასწავლებლებში სილაბუსი აწესრიგებს ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობას. სასწავლო კურსის დაწყებისას სტუდენტმა სილაბუსის მეშვეობით უნდა გაიგოს, თუ რა და როგორ უნდა ისწავლოს, რომ სასურველ შედეგს მიაღწიოს.

მეორე მხრივ, სილაბუსის მეშვეობით უმაღლესი სასწავლებლის თუ სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია შეამოწმოს ლექტორის/მასწავლებლის აკადემიური საქმიანობის ხარისხი. სილაბუსი ეხმარება პედაგოგს საგნის სწავლებისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაში და ქმნის საგნის სწავლების განვითარების წინაპირობებს.

ე.ი. **სილაბუსი** არის ზოგადი ჩარჩო, თუ რა საკითხები იქნება განხილული წლის განმავლობაში და როგორ. იგი უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამდიდრებული უნდა იყოს მასწავლებლის გამოცდილებითა და შეხედულებით. საგნის გეგმის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

- სასწავლო საგნის მიზანი;
- სასწავლო საგნის ამოცანები;
- წლის ბოლოს მისაღწევი შედეგი და განსავითარებელი კომპეტენციები;
- წლის განმავლობაში განსახილველი ძირითადი თემები თანმიმდევრულად დალაგებული და დაჯგუფებული;
- სასწავლო მასალა: ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, ვიდეო და აუდიო მასალა და ა.შ.
- ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ საკითხების შესწავლისას და შეფასებისას.
- სასწავლო კურსის შეფასება.

თემატური გეგმა მოიცავს წლის განმავლობაში განსახილველ მსხვილ თემებს.

თემატური გეგმა უფრო დეტალური და კონკრეტულია, ვიდრე საგნის გეგმა. მასში

- თანმიმდევრობით დალაგებული და დაჯგუფებულია წლის განმავლობაში განსახილველი თემები და თითოეულ თემაში შემავალი საკითხები - საკითხთა შერჩევისას მასწავლებელმა უნდა იხელმძღვანელოს საგნობრივი პროგრამითა და სტანდარტით;
- კონკრეტული თემის მოკლე შინაარსი;
- თითოეული თემის ბოლოს მისაღწევი შედეგი;
- თითოეული განსახილველი თემისთვის გამოსაყენებელი აქტივობები და სასწავლო მეთოდები;
- ყოველი თემის შესწავლისთვის საჭირო სასწავლო მასალა - ლიტერატურა გვერდების მითითებით და სხვა რესურსების დეტალური ჩამონათვალი;
- საათების გადანაწილება თემებზე - საათების გადანაწილების დროს გაითვალისწინეთ სარეზერვო საათები, რომლებსაც გამოიყენებთ მასალის განმტკიცებისთვის და სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებისათვის.
- შეფასების სისტემის აღწერა - თითოეული თემის შესწავლისას გამოყენებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- კლასში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური საჭიროებებისადმი გეგმის ადაპტირება;

- თვითშეფასება - რა პერიოდულობით და რა მეთოდებით მოახდენს მასწავლებელი თვითშეფასებას. (თვითშეფასების რუბრიკა თან უნდა ერთვოდეს თემატურ გეგმას დანართის სახით)

თემატური გეგმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგნის გეგმის შემადგენელი ნაწილი.

გთავაზობთ სილაბუსის და თემატური გეგმის სავარაუდო ფორმის ინსტრუქციას

	კომპონენტები	ინსტრუქცია
1.	მასწავლებლის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია	
2.	სასწავლო საგნის სახელწოდება	
3.	სწავლების კლასი	
4.	სასწავლო საგნის ხანგრძლივობა და საათების რაოდენობა	
5.	სასწავლო კურსის ზოგადი აღწერა	მიუთითეთ სასწავლო კურსის სპეციფიკა, თავისებურებანი, ადგილი სკოლის სასწავლო გეგმაში.
6.	სასწავლო საგნის სტატუსი მოცემულ კლასში	მიუთითეთ სასწავლო კურსის სტატუსი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი საგნები
7.	სასწავლო საგნის მიზანი	აღწერეთ სასწავლო კურსის მიზნები, რომლის ფორმულირებისას უნდა დაეყრდნოთ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს;
8.	ძირითადი თემები	მიუთითეთ ის ძირითადი თემები, რომელთა გავლასაც აპირებთ წლის განმავლობაში.
9.	სასწავლო საგნის ამოცანები	მიუთითეთ ის ნაბიჯები, რომლებიც უნდა

		გადაიდგას მიზნის მისაღწევად
10.	სასწავლო საგნის აუცილებელი საბაზისო კომპეტენციები	მოსწავლეთა არსებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ახალი ცოდნის დასაუფლებლად.
11.	კურსის ორგანიზაცია 11.1. საკლასო მენეჯმენტის ხერხები 11.2. მეცადინეობის ფორმები; 11.3. სწავლების მეთოდები	ამ ნაწილში დეტალურად აღწერეთ სასწავლო კურსში გამოყენებული ორგანიზაციული ხერხები (მაგ. ჯგუფური, ინდივიდუალური...) მეცადინეობის ფორმებში იგულისხმება (ლექციური, სემინარული, ლაბორატორიული და სხვ.) სწავლების მეთოდებში იგულისხმება - სოკრატული, დიდაქტიკური, პრობლემაზე ორიენტირებული, კეთებით და სხვ.
11.	სასწავლო კურსის შეფასება	მიუთითეთ შეფასების რა მეთოდებს გამოიყენებთ და რა კრიტერიუმებით შეაფასებთ (<i>შეფასების რუბრიკები თან უნდა ერთვოდეს სილაბუსს დანართის სახით</i>),
12.	რესურსები მოსწავლის და მასწავლებლის სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები, ინტერნეტსაიტები, ადამიანური რესურსები.	მიუთითეთ ნებისმიერი სახის რესურსი, რომლის საფუძველზეც კურსი ისწავლება. სახელმძღვანელოებს, დამხმარე ლიტერატურას მიუთითეთ ავტორი, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი.
13.	მისაღწევი შედეგები და კომპეტენციები	შედეგები უნდა იყოს კონკრეტული და გაზომვადი. შედეგში უნდა აისახოს ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები,

		რომელსაც მოსწავლე აითვისებს კურსის გავლის შემდეგ. სასურველია, თუ ცალ-ცალკე გამოყოფილი იქნება საგნობრივი და ზოგადი კომპეტენციები.
14.	<p>სამუშაო დისცილინა</p> <p>14.1. გაცდენების დასაშვები რაოდენობა;</p> <p>14.2. დავალიანებების დასაშვები რაოდენობა;</p> <p>14.3. აღდგენები;</p> <p>14.4. საჯარიმო ზომები;</p> <p>14.5. წახალისების ფორმები.</p>	<p>მიუთითეთ არასაკმატო გაცდენების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა, ასევე, მათი აღდგენის ფორმები და ვადები.</p>

თემატური გეგმა

N	თემა და მასში შემავალი საკითხები	თემის მოკლედ აღწერა	საათების რაოდენობა	თემის ბოლოს მისაღწევი შედეგი	ძირითადი აქტივობები და მეთოდები	რესურსები	შეფასების სისტემა
1							
2							
3							
4							
5							